



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030497699689815

№ 04-420/ო

20 / ნოემბერი / 2015 წ.

**„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში,
გადაუდებელი თერაპიის ტარიფების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით (შემდგომში – „დადგენილება“) დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში – „პროგრამა“) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N586 დადგენილებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, პროგრამის ადმინისტრირების ეფექტურობისა და განხორციელების პროცესის რიგი საკითხების დაზუსტების მიზნითა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს გადაუდებელი თერაპიის ტარიფები (დანართი N1).

2. დადგენილების დანართი N1.2-ის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით (გადაუდებელი მდგომარეობები) განსაზღვრული გადაუდებელი თერაპიული მდგომარეობების, ასევე დანართი N1.3-ს პირველი პუნქტის „გ.ა.ბ“ და მე-2 პუნქტის „გ.ა.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაუდებელი თერაპიული მდგომარეობების (გარდა ინფექციური დაავადებებისა) ანაზღაურება მოხდეს პროგრამის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით განსაზღვრული ღირებულების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს განმახორციელებლის მიერ ამ ბრძანების N1 დანართით დადგენილი ტარიფით.

3. დაევალოთ:


ა) სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე) წინამდებარე ბრძანების გაგზავნა/გადაცემა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტისათვის, დირექტორის აპარატისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს, წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით;

გ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მალაყელიძე-ხომერიკი) ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ინფორმირება წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

გადაუდებელი თერაპიის ტარიფები

ხელოვნური კოდი	ხელოვნური კოდის დასახელება	ტარიფი
9000000001	G45.0/ვერტებრო-ბაზილარული არტერიული სინდრომი/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე)	200.0
9000000002	G45.9/გარდამავალი ცერებრული იშემიური შეტევა, დაუზუსტებელი/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე)	217.0
9000000003	G46.0*/თავის ტვინის შუა არტერიის სინდრომი (I 66.0+)/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლ დღე)	221.0
9000000004	G46.8*/თავის ტვინის სხვა სისხლძარღვოვანი სინდრომები ცერებროვასკულური ავადმყოფობის დროს (I 60-I 67+)/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლ დღე)	219.0
9000000005	G92/ტოქსიური ენცეფალოპათია/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლ დღე)	180.0
9000000006	G61.0/გიენ-ბარეს სინდრომი/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლ დღე)	230.0
9000000007	J06.8/ზედა სასუნთქი გზების სხვა მწვავე ინფექციები მრავლობითი ლოკალიზაციის/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე)	165.0
9000000008	J06.9/ზედა სასუნთქი გზების ინფექციები, დაუზუსტებელი/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე)	170.0
9000000009	J18.0/ბრონქოპნევმონია, დაუზუსტებელი/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე)	176.0
9000000010	J18.8/სხვა პნევმონიები, დაუზუსტებელი მიკროორგანიზმებით გამოწვეულ/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე)	180.0
9000000011	J18.9/პნევმონია, დაუზუსტებელი/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე)	194.0
9000000012	J20.9/მწვავე ბრონქიტი, დაუზუსტებელი/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე)	164.5
9000000013	J44.1/ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობა გამწვავებით, დაუზუსტებელი/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე)	180.0
9000000014	N10/მწვავე ტუბულო-ინტერსტიციული ნეფრიტი/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე)	199.8
9000000015	N39.0/საშარდე გზების ინფექცია, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის/გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე)	180.0
9100000001	-/-/- პეპტიური წყლული, დაუზუსტებელი -/- გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე) -/-/-	217.0
9100000002	-/- O20.8 -/- სისხლდენა ორსულობის ადრეულ პერიოდში -/- გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე) -/-/-	174.0
9100000003	-/- R11 -/- გულისრევა და პირღებინება -/- გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე) -/-/-	200.0
9100000004	-/- R50.0 -/- სხვა და უცნობი წარმოშობის ცხელება -/- გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე) -/-/-	217.0
9100000005	-/- J21.9 -/- მწვავე ბრონქიოლიტი, დაუზუსტებელი -/- გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე) -/-/-	200.0
9100000006	I20-I24 -/- გულის იშემიური ავადმყოფობა -/- გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე) -/-/-	217.0
9100000007	-/- მიმღე ქრონიკული და მწვავე გულის უკმარისობა -/- გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე) -/-/-	200.0
9100000008	-/- გულყრის შემდგომი სტაციონარული დაკვირვება -/- გადაუდებელი თერაპია (1 საწოლდღე) -/-/-	246.0